ტფილისი

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—მ; მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონში ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

### შინაური ქრონიკა.

— ქართლიდამ გვწერენ, რომ ბორს ზემოდ, აენევის ფრონის ხეობაზედ ვერაფერი მოსავალი ყოფილა წელს ჭირნახულისა, რაღაც ჭია გაჩენილა და ისე დაუხრავს მარცვალი, რომ ადვილად შეატყობ ხვავს თეთრად გადაკუჭულის მარცვლების გამო. თუ ეს ჭია, რომელიიმე მავნე რუსეთული ჭიაა, გვწერს კორესპონდენტი, მაშინ აუშენდებათ აქაურებს ოჯახი. სულ ყველა, ყველა—განაგრძობს კორესპონდენტი, მაგრამ ძაღლის ჭირი რალა ჯანაბაა. აგერ ერთი თვეა მძვინვარებს ზოგიერთა სოფლებში. ერთსა და ორს კვირაში ხუთი და ათი ძაღლი კვდება. ზოგიერთა პატარა სოფელი უძაღლოდ დარჩა და მგლები სულ ერთიანად გვაჩანაგებენ და ლამის ჩვენც დაგვჭამონ.

საშინელი უფულობაა აქეთ: არაფერს ბაზარი და გასავალი არა აქვს; ფუთი ქერი ხუთი შაურია და პურიც ორი აბაზი, ცხრა შაური. ყველა დალონებულია და არ იციან, რა ქნან. თუ შემდეგშიაც ასე გასტანა, ათავებს თავის წერილს კორესპონდენტი, დაილუპება ჩვენი ხალხი და ის არისო.

— Iქიდამვე გვწერენ, რომ სოფ. დირბში ერთი უბედურება და ვაივაგლახი ტრიალებს თურმე. ამ სოფლის მამულები საეკლესიონი არიან და Iერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკუთვნიან. როგორც მონასტერი, ერთხელ ქართველთ საკუთრება, ისე მამულებიც დღეს ბერძნების ხელშია და ამათი წარმომადგენელი, ბ-ი ა—ტი, ჩასახლებული ამ სოფელში, როგორც საშუალო საუკუნოების მოისხანებით სავსე მებატონე, თავის ქოს-მეძებრებით (მოურავები, ბიჭები, ნათესავები) მძვინვარებს ყოველ-გვარ ტულონისა და ბაღდადის ქამხე უარესადაო. ყოველ მოსავლის თავზე ერთი ომი აქვს ამ სოფელს თავის ახირებულ უცხო მებატონესთან: არც შებრალება, არც ლმობიერება, არც კაცთ-მოყვარება მისგან. ვინც იცის, რა არის ეხლა ბერძენი, როგორი სიხარბით ჰყვლეფს და სცარცვავს, საცა კი ფულის შოვნა შეიძლება, ადვილად წარმოიდგენს, რა ურთიერთობა უნდა სუფევდეს სოფ. დირბის ბერძენ მებატონესა და გლეხობის შორის. ხან თოფ-იარაღის ხმარებაზედაც მივარდება ხოლმე საქმეო.

ეხლა მთელს დირბს მუჭაზე დასაყრელი ჯერაც არ გაულეწია თურმე, მაშინ, როცა ბევრს სოფელში საშუალო ხვნისა და თესვის პატრონმა გლეხმა კიდეც გაათავა კალოობა. ამის მიზეზია მებატონე ბერძენი, რომელიც ნებას არ აძლევს ლეწვისას და ეუბნება ხალხს, ჯერ მამირიგდით, რას მაძლევთო. თავად კი ითხოვს თურმე მეხუთედს ყოველი მოსავლისას და ყოველ გვარის ჭირნახულისას.

გაგონილა და ქნილა, — სევდიანად გვეკითხება კორესპონდენტი, — რა ღვთის რისხვაა ეს ჩვენს თავსაო! არა სასტიკ მებატონესაგან ასეთი დღე, როგორიც ჩვენ დაგვაყენეს, კაცს არ დასდგომიაო. ნუ თუ ჩვენი მშველელი არავინ იქნებაო.

მართლაცა და ნუ თუ მომრიგებელი-შუამდგომელი — დავუმატებთ ჩვენ, თ. გ. Aიცი შვილი გულ-გრილად შესცქერის ამ გვარს ამბებს? ნუ თუ პირდაპირი იმისი საქმე არ არის მოარიგოს გლეხები მებატონესთან და არ დააბრუნებინოს ცოდო შიგ შუა-გულ ქართლში, მშვიდ და წყნარ გლეხთა შორის, იქ, საცა არავითარი ამ გვარი ბოროტება არავის არ შემთხვევია.

— ვისაც კი მთიულების ცხოვრებისათვის თვალი მოუკრავს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, თუ რა საშინელი მიწის სიძვირეა ამ ჩვენის ქვეყნის მთიან კუთხეში. სივიწროვის გამო, მამული იქ მეტის-მეტად ძვირადა ფასობს, ასე რომ დღიურს კაცი ოცდაათისა და ორმოცი თუმნის ნაკლებ ვერ იყიდის. აქამდის მთიულები და მოხევეები ვერა ჰბედავდენ თავიანთ მიწა-წყლის მოშორებას და შინ შეწუხებასა და ჭირსა რჩეობდენ გარედ განცხრომითა და გაფართოებით ცხოვრებას; მაგრამ ეხლა იგრძნეს, რომ

«დროების» ფელეტონი, აგვისტო 3.

### საერო მიწის-მფლობელობაზედ ჩვენში:

#### ქიზიყი*).

(წერილი პირველი.)

ყველა დროსა და საუკუნეში ბევრია იმისთანა საგნები, რომელნიც უზარმაზარად წამოშოტილან იმ დროსა და საუკუნეთა საუკეთესო შვილთ წინაშე და არ აძლევენ მათ მოსვენებას; ესენი ან უნდა მოჰშორდენ ამ საგნებს, ან ზედ შეეხალნენ და შეაკლან თავი... ამ საუკუნეში მეცნიერება ჩამოგვითვლის ბევრს ამ გვარ საძნელო გადასაწყვეტს საგანს: მაგალითად, სიმდიდრის გაძლიერება და განაწილება კაცთა შორის; შრომა და შრომის ფასი; ღარიბების ვაგლახი მდგომარეობა; მამა-კაცთა და დედაკაცთა ურთიერთშორის გათანასწორება ესე იგი ნახევარ კაცობრიობის სრულ წლოვანად აღიარება, უფასო და სავალდებულო სწავლა, თავისუფლება სარწმუნოებისა, რწმენისა, მსჯელობისა და სხვ. და სხვ. განათლებულ სახელმწიფოთ ბევრი ამ გვარი საგანი და სურვილი შეისრულეს, მოშალეს საბრძოლველო დროშაზე და ჩაურთეს თავიანთ კანონმდებლობაში. კანონის წინაშე ყველას თანასწორობა; სახელმწიფო საქმეებში ხმის მიციება, თავისუფლება სარწმუნოებაში, მსჯელობაში—დღეს ფაქტია ბევრ განათლებულ ერთათვის. მაგრამ ეკონომიური საგნებისთანა საზრუნველი საგნები კაცობრიობას სხვა არ გაჩენია. ამაზე ფიქრი და ზრუნვა დაიბადა კაცობრიობასთან ერთად, უძველეს დროს, დაფუძნდა თუ არა პირველი ცოტაოდნად წესიერი საზოგადოება.

არისტოტელმა ძველ საბერძნეთშივე აიტეხა, რომ დემოკრატია ვერ იარსებებს ეკონომიური რეფორმიდაო და, მართლაც, როცა საქმე სახრინავზე მიდგებოდა ხოლმე—ხან სათემოდ ჰხდიდენ ტყე-სახნავ-საძოვარს, ხან სათემო სადილებს აწესებდენ — არა ერთხელ ყველა ვალებს აბათილამავებდენ, ხან გადასახადს მარტო მდიდრებზედ ანაწილებდენ და სხვადა-სხვა... მაგრამ იურიდიულად გათანასწორებულთ შორის ეკონომიური ბრძოლა მაინც არსებობდა და ასწორედ ამ ბრძოლამ მოიდნო ძველი საბერძნეთი...

რომიც ვერ ასცილდა ამას. დაიწყო თუ არა რესპუბლიკა და სცენაზედაც გაჩნდა პლებეი და არისტოკრატია. პლებეი დღითი-დღე უფრო-და-უფრო მეტს იძენს პოლიტიკურ უფლებათ და ეკონომიურად კი უკან იწევს—ღატაკდება, ტრიბუნიდან ამის გამო ჰქუხან სტოლონი, ძმანი გრაკხნი, ager publicis თანასწორ განაწილების მდომნი, მაგრამ წყეულ საგნებს ზედ აკლავენ თავებს. რომში ერთის მხრით უშველებელ, უძრავ მამულთა პატრონნი ჩნდებიან და მეორეს მხრით ღატაკნი—არა მქონენი მამულისა და, მაშასადამე, არც სამშობლოისა... ეროვნება რომისა იფუშება, პლინი თვით სიმართლეს ლაღადებს, როცა ამბობს: Latixundia perdidere Italium. ხენეკა მწარე გოდებას ეძლევა: «როგორ! მიწა, რომელიც ჰკვებავდა ერს, შეიქმნა ცხოვრების წყაროდ რამდენიმე მემამულეთათვის?! უშველებელი წყლები სათავიდამ შესართავამდე, ფართოველნი კიდით-კიდემდე, მთელნი თემნი და მხარენი თითოსთვის იქმნენ შექმნილნი განგებისაგან?!!»

რისაგამოც დაემხნენ წარსულში სახელმწიფონი, ახალნიც იქ სმენ გვითხვითს ნიშანსაო, ამბობენ მეცნიერნი და განმარტევენ, რომ ის კვირიტული საკუთრება, რომელიც რომაელების მიხედვით სავალდებულოდ მიიღო დასავლეთმა, არაფერს სასიკეთოს არ წარმოადგენს და სავაგლახოს კი ძალიან ბევრსაო. მეცნიერ ეკონომისტების დაბეჯითებითმა გამოკვლევამ წარსულ და აწინდელ მიწის-მფლობელობის სისტემათა შორის აპოვნინა უწინდელი და ძალიან აღრინდელი ფორმა მიწის-მფლობელობისა, რომელიც ასე თუ ისე გადასწყვეტს უზარმაზარ მთასავით წამოზრდილს საგანს... ეს ფორმა არის საერო მიწის-მფლობელობა, რომელიც ჰქონია დასაწყისში ყველა ერს და რომელიც დღეს მოიპოვება ბევრგან: ალმენდების სახელით შვეიცარიაში, მარკად ზოგიერთ გერმანიელ ტომის ხალხში; გაჩაღებულია ეს ფორმა აგრეთვე ყველა სლავიანურ ტომთა შორის და მომეტებულად რუსეთში, ევროპის გარეშე—კუნძულ Iავაზე, აგრეთვე Iნდოეთში და სხვაგან... სხვათა შორის, ჩვენს საქართველოშიაც.

თხუთმეტი და ოცი წელიწადი იქმნება, რაც მედგრად დაიწყეს დაცვა საერო მიწის მფლობელობისა, სადაც კი მოიპოვებოდა იგი. ამ დრომდის კი ამ ეკონომიური მოვლენის ნაშთი არხეოლოგიური და ისტორიული ინტერესის მეტს ეკონომისტების შორისაც კი არას წარმოადგენდა. მხოლოდ დღეს, ნუ ვიტყვით რუსეთს, სადაც მთავრობა, ერობა თუ ათასნაირი დაწესებულებანი და წრეები თანაგრძნობით ეკიდებიან მიწის მფლობელობას, იმ ევროპიულ სახელმწიფოთა შორისაც კი, სადაც ამ ფორმას ნასახიც ძლივ დაურჩენია და სადაც ყველა დაცინვით უცქეროდა ამ «განათლებულ ქვეყნებისთვის არაფრის სისტემას და გამოსადეგი ეგონა მხოლოდ ველურის ხალხისთვის», დღეს იქაც კი, ვამბობთ ჩვენ, გზას უკვლევენ ამ გვარს წესს მიწის მფლობელობისას. პროგრესიული ეკონომისტები პირდაპირ უთითებენ დასავლეთს ამ ფორმაზე რათა გადურჩეს იგი დღითი-დღე ღატაკთ გამრავლებას...

ყველა ეს ფრიად საჭიროდ დავინახე წამემძღვარებინა წინ, მეტადრე იმათთვის, რომელნიც მოკლებულნი არიან შეძლებას ეს საგანი დაწვრილებით გაიცნონ*).

ეს ფორმა მიწის-მფლობელობისა მამა-პაპითვე გაჩაღებული ჰქონიათ სიღნაღის გარშემო შეკრუხწიწილავებულ ქიზიყელთ, რომელთაც ვახუშ-

*) შემდეგს წერილებში მოვილაპარაკებ საერო მიწის-მფლობელობაზედ უკანამხარში და წინამხარში, შემდეგ იგრის ხეობაში, კახეთში—ალაზან-გაღმა, თიონეთში და ქართლში.

*) გარდა ორი ფრიად შესანიშნავი ფელეტონისა „დროებაში“ იგრის ხეობიდან, ამ ფელეტონების გამო დაწერილის მოწინავე წერილისა, ბ. ფურცელაძის ბროშიურისა საერო მიწისმფლობელობაზედ „საქართველოს გარეთ“ და აგრეთვე ჩემი მგზავრის შენიშვნებისა საინგილოდან „ივერიაში“, ვგონებ სხვა არა დაწერილიყოს-რა ამ მიწის-მფლობელობის ფორმაზედ ჩვენს ლიტერატურაში.

ამ შევიწროებასაც სამზღვარი უნდა ჰქონდეს და ზოგიერთნი გადმოვიდენ ქართლისკენ თავისუფალ ადგილების მოსაძებნად. როგორც მოგეხსენებათ, ქართლშიაც სივიწროვეა, ასე რომ მოხევეები იძულებულნი შეიქმნენ განაპირა მხარეს მოენახათ თავიანთ საცხოვრებელი ალაგი, და მართლაც რამდენიმე კვამლმა მოხევეებმა იყიდეს თავად თარხნიშვილებისაგან ტყიანი მთა, თრიალეთში, მანგლისს ახლო და იქ დასახლდენ. ეს ადგილები სწორედ შესაფერია მათთვის: ჯერ ერთი ესა, რომ მთიანი ქვეყანა თავიანთ სამშობლო მხარეს მოაგონებს და ჰავასაც ადვილად შეიფერებენ. ამას გარდა, ამ ალაგებში ხალხი ნაკლებად მოსახლეობს, ასე რომ მოხევეებს შეუძლიანთ დიდ-ძალი საქონელი და ცხვარი გააჩინონ და ეს სიმდიდრის წყარო ახალს ბინაზედაც მრავალი იყოლიონ. მამულიც ისე იაფია აქ, რომ თითო დღიურის ყიდვა შეიძლება 7—8 მანათად და კიდევ უფრო ნაკლებადაც. თრიალეთის მხარეში, რომელზედაც ჩვენა ვლაპარაკობთ, ბევრი მამულებია თბილისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული და პატრონები ისე ვერ იყენებენ მათ, როგორც გვერდით მდებარე მამულებს და, რასაკვირველია, ადვილად გაიმეტებენ გასასყიდლად, მაგ. ერთი ამ მამულთაგანი ამ ჟამად ხსენებულ ბანკზედ არის დარჩენილი და მისი სივრცე ორიათასს დღიურზე მეტია; ამოდენა ადგილზედ მთელ სოფელს შეუძლიან დასახლება, და, თუ გავიხსენებთ იმას, რაც ამ დღეებში ჩვენს მოწინავე წერილებში ითქვა, ადვილად მისახვედრია, თუ რა იაფ ფასად შეუძლიანთ მოხევეებს ამ მამულის შეძენა და იქ დამკვიდრება.

— თითქმის არც ერთი ჩვენი მწერალი ისე არ იცნობს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს, ისე არ იცის ხალხის ცხოვრება, როგორც თ. რაფ. ერისთავმა. არც ერთი მხარე საქართველოსი მას უნახავი და გარდიგარდმო გაუვლელი არ დარჩენია. უეჭველია, რომ ჩვენის ქვეყნის გაცნობის დროს თ. რაფ. ერისთავი სახალხო სიტყვიერების განძს ბევრს შეიძენდა და შეიტყობდა აგრეთვე მცენარეებისა, ცხოველებისა და ქვების სახელებსაც. ამ მწერალს ეხლა განუზრახავს გამოცემა ზოოლოგიური, ბოტანიკური და სამინერალო ლექსიკონისა, რომელშიაც იქმნებიან მოქცეულნი ხალხისაგან დარქმეული სახელები რუსულად და ლათინურად გადათარგმნილნი. ეს შრომა ძვირფასი შრომა იქნება ჩვენს ენაზედ სამეცნიერო თხზულებათა მწერალთათვის, თუნდაც მას ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, რაც თითქმის აუცილებელია ამისთანა პირველის ნაბიჯისათვის.

— ერთი ჩვენი მწერალთაგანი შესდგომია სრულის «ვეფხვის-ტყაოსნის» თარგმნას ფრანცუზულ ენაზედ. მეოთხედი კიდევაც გადაუთარგმნია და დანარჩენის გათავების იმედი სექტემბრისათვისა აქვს. რაღა თქმა უნდა რომ ფრანცუზული თარგმანი დაიბეჭდება კიდეც «ლეგუვეს ან რენანის წინასიტყვაობით», როგორცა გვწერს ამ აზრით გატაცებული მთარგმნელი.

— სოფ. წყალტუბოდამ გვწერენ, რომ იქაური აბანო ძალიან რგებს ქარებს. ბევრი დახუთულები მოურჩენია. ივნისში იქ მისულა ერთი დახუთული და ორი კვირის განმავლობაში (ხელით ჩაჰყავდათ თურმე წყალში) ისე მორჩენილა, რომ ცხენით წასულა ბინაზე. ეს აბანოა დიდი ტბა, რომელშიაც ქალი და კაცი ერთად ჩადიან და ხანდისხან ისე გაივსება ხოლმე ხალხით, რომ ტევა აღარ არის. უფრო გაზაფხულზე და შემოდგომაზე დადიან ამ აბანოზე, რადგან ზაფხულში დაცდა იცის. სამწუხაროდ უსახლობა აჭირვებს აქ საქმეს. თითო ფარღალა ოთახი, რომელშიაც ყოველი კუთხიდამ შემოქრის ქარი, თითო მანეთი ჰღირს დღეში. რა ჰქნას ღარიბმა ხალხმა: მთელი დღე და ღამე ცის ქვეშ ათენებენ.

წარსულს მაისში და ივნისში ორი კაცი დაიხრჩო ამ აბანოში. მაისში დაიხრჩო იმავე სოფლის მცხოვრებელი ი—ნის ნაყმევი, მეორე — საწიარელი გლეხი იყო.

თუ ყოველს წელიწადს ოროლი და სამ-სამი კაცი დაიხრჩო, ჩვენი მგონი, სარგებლობა ნაკლებად იქნება ამ სამკურნალო წყლისაგან, ვიდრე ზარალიო, გვწერს კორესპონდენტი.

— ძნელად წარმოსადგენია გვწერენ აფხაზეთიდამ, რომ სხვა რომელიმე სამსახურის პირნი ისე შეწუხებულნი იყვნენ მატერიალურად, როგორც არიან აფხაზეთ-სამურზაყანოს მღვდლები და სოფლის მასწავლებლები, რომელნიც ჯამაგირს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგ. საზოგადოების საშუალებიდამ ღებულობენ! ცოტაოდენი ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ ის მაინც რომ თავ-თავის დროზე, მოსდიოდეთ, კიდევ მადლობა ღმერთსა... მაგრამ აგერ ივლისი — მეშვიდე თვე გადის და იანვრის მესამედი არ მიუღიათ. წარსულის წლის სექტემბრისა რომ მიიღეს, ის სულ შარშანდელ ვალებში დაურიგეს, დღიურს საზრდოს და უსაჭიროესს ნივთებს ვაჭრებს ხელწერილით ართმევდენ; მაგრამ ნისიასაც გადახდა უნდა, თორემ მეტს აღარავინ ანდობს და ხომ სიმშილით უნდა დაიხოცონ. იქნება, კავკ. ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების რჩევამ მიაქციოს ამას თავის ყურადღება და იხმაროს რაიმე ღონისძიება?

— სამეგრელოდამ გვწერენ, რომ ბევრს აქაურს სოფლებში სკოლები არსებობდა წერა-კითხვის სასწავლებლად და ახლა კი დაიხურაო. მაგ.

---

ტი უქმებს ერთპირობას და მხნეობას და რომელთა უშველებელი და მშვენივრად ნაშენი სოფლები კვირა უქმე დღეს გულ-გახსნილ და ქართულ ლხინში არიან ხოლმე. ვერსად საქართველოში ვერ შეჰხედებით ასე ბეჯითად ყრილობაზედ თავმომკრეფ ხალხს. კვირა-უქმე დღეს კიზიყელთ ზედიზედ გადაბმული სოფლები რომ დაიარო, ხალხთ შეყრილობა იარმუკას წარმოგიდგენთ. როგორც შედეგი საერო მიწის-მფლობელობისა, აქ დღესაც ბლომად მოიპოვებიან შრომის პრინციპზე არტელურად აშენებული უშველებელი ოჯახები — რვა და ცხრა ძმიანნი. ერთი ამათგანი დაუძლევის სათემო საძოვარზე მრავალ ცხვარს, მეორე კამეჩებს და რქიან საქონელს, მეოთხე ღორს, მეხუთეს უჭირავს მამა-პაპური და მადლიანი გუთანი, რომლითაც უხსნის სათემო მიწებს გულს და მისდევს ხვნა-თესვას, მეექვსე შიდა საქმეს აკეთებს: ჰმართავს ურმებს, ამუშავებს ვენახებს — მიდის კირაზე, შეშაზე, წისქვილში და სხ.. მხოლოდ უფროსი აძლევს სარისტას — იცავს ოჯახის ინტერესებს ყრილობაზედ — უძღვება წინ სოფლის საქმეს. რძლები მერიგობენ, ოჯახში დიდი და პატარა ხშირად სამოცამდე სული ჭიანჭველასავით ფუსფუსებენ კალოზე, ვენახში, მკის დროს და სხვა. ამგვარ ოჯახთ სიმდიდრეს არამცთუ საქართველოში, სხვა ქვეყანაშიაც, მგონი, ბევრი არ შეედაროს — ბევრი ამათგანი სახელმწიფოს სასარგებლოდ წელიწადში ოცდა-ათ თუმანს იხდის — ასე იხდის დღესაც ქვემო მაჩხაანში ოჯახი ილია შანშაშვილისა — ამას მისდევენ კიზიყში დარეჯანაშვილი, ლაფიაშვილი, ზოგრაქვეხას ოჯახობა, კოშკასი და მრავალნი სხ.

კიზიყელთ სათემო მიწები აქვთ ქვედა ნაწილ ალაზნისა და იორის ნაპირებში «ნოხპოტომდე». მთლად ეს უზარ-მაზარი მინდვრები არიან ურწყავნი, რომელთაც მეპატიება არ ეჭირებათ და მეტად მშვენიერნი არიან საძოვრად. მთელ კიზიყის სოფლებს*) ერთ-ნაირი აქვთ საერო მიწის-მფლობელობის კანონები, ამიტომ ტიპად ავიღებ ორიოდ სოფელს, სახელდობრ, ბოდბესა და მაღაროს.

ბოდბეს ვაკეზედ, „ელიას“ ზევით, აქვს საბლის მიწები. «ელიას» ქვეით ვაკე «ოლემდის» ყრილობისაგან ყოველ წელს ნახევარი სათიბად იდება და ნახევარი სათემო სახნავად. აქ ყველას შეუძლიან ხნას რამდენიც კი უნდა; ხოლო სახნავად გასვლა — ნაოშობას, ნაჩხატობას, თუ ანეულობას. რადგან ჩვენში ყველგან ცოტა რამ მეტ-ნაკლებობით ერთ დროს იციან, იმიტომ აქაც სხვა არა რაიმე დაწესებულება არა სუფევს გარდა იმისა, რომ ვინც გადის სახნავად, ის ჯერ ერთი — ორი დღე, რაც კი სახნავად მიწები უნდა, ჰკვალავს, შემდეგ კი დაკვალულების ხვნას უნდება. შფოთი და დავიდარაბა ამაზედ აქ იშვიათია, რადგან მიწები ყველგან სინოყივრით თანასწორნი არიან და ამასთან ურწყავნი, მერე მდიდრები დაკვალევაში არ ხარბობენ, რადგან დიდი გასაჭირი არ არის მათთვის მესამე კატეგორიის სათემო მიწაში, თუ ჰსურთ, ხნით გული იჯერონ. ეს მესამე კატეგორიის სათემო მიწა ბოდბელებს ვაკეს ქვევით აქვთ და ეძახიან „ნეიმანს“. «ნეიმანი» უშველებელი საძოვარი ადგილია ბოდბელებისა. ზედ არის მოშენებული აქა-იქ ბინები, ჰხნავენ აქ ისინი, ვისაც საქონლით ხელი მიუწვდებათ, მაგრამ ძველთაგანვე დღესაც სოფლებში ჩვეულებად დარჩომიათ: ორ ან სამ წელიწადში ერთხელ ყრილობა სოფლისა გადასწყვეტს — ყველა გუთნები სოფლისა გავიდენ რამდენიმე დღით ამ სათემო მესამე კატეგორიის მინდორზე და ხნან. ეს იმიტომ ჰქონიათ ადათად, როგორც მე შევიტყე, რომ მეზობლად მყოფი სოფლები ხშირად, თუ რომელიმე სოფელი ვერ მოიხმარდა, ამ მიწებს ართმევდენ და ისაკუთრებდენ. ბევრ სოფლებს კი კიზიყში ეს მესამე კატეგორიის მიწები დღესაც გაუმიჯნავი აქვთ. მხოლოდ ესენიც სამ წელიწადში ერთხელ გავლენ ხოლმე სახნავად. მაშინ მონაწილე სოფლები ყრილობათა ამ გვარ გადაწყვეტილობას შიკრიკებით ერთმანეთს აცნობებენ, რომ ერთბაშად გავიდენ.

სათიბში გასვლა, არამცთუ ბოდბეში, მთელ კიზიყში ერთნაირი წესით იციან: ყრილობა დაჰნიშნავს დღეს სათიბის გახსნისას და ამ ვადაზედ ზოგი ცხენით, ზოგი ვირზე შემჯდარი, ზოგი ქვეითი, ხელში კი უეჭველად ცელებით სათიბის მიჯნაზე მოიკრეფენ თავს. მერე ერთბაშად „ურას“ (?) დაიძახებენ და დაერევიან სათიბს. აქ ყველა ჰსარყამს გარშემო, რაც კი სათიბად უნდა; რომ შემოჰსარყავენ მერე თიბვას შეუდგებიან. შემოსარყულ შიგნით, გინდ პატრონიც არ იყოს, არავის შეუძლიან შესვლა და თიბვა. ვისაც წინად ნათიბი გამოაჩნდება, ან უკანონოდ დასარყვაში შეუტყეს, იმას თივას ართმევენ. უწინ ამ თივას ღარიბებს აძლევდენ; ეხლა ამით «ყლაპიები» სარგებლობენ.

ავიღოთ სოფელი მაღარო. ისიც სრულიად ამ გვარს სურათს წარმოადგენს.

ქალოებს ახლო «ბულაყებამდის» საბლის მიწები არიან. «ბულაყებს ქვემოდ შინდყელამდის» ყრილობა ყოველ-წელს ჯერ-ჯერობით ნახევარს სათემო სახნავად არჩენს, ნახევარს — სათიბად. შინდყელას ქვევით უშველებელი მესამე კატეგორიის საძოვარ სახნავი მამულია, როგორც ბოდბელების „ნეიმანი“. აქ აშენებულია ბლომად ბინები საქონლისა და დაიარება დიდ-ძალი ძროხა, ცხვარი, ცხენის ჯოგი მაღაროელებისა. შეძლებულნი ბლომადა ჰხნავენ კიდეც აქ. სამ წელიწადში ერთხელ ყველას გუთნები გადის სახნავად რამდენიმე დღით. სათიბზე გასვლა საერთოა აქაც, როგორც მთელ კიზიყში. ასეა ყველა დანაშთენ სოფლებშიაც.

*) კიზიყის სოფლები: ანაგა, ვაქირი, მაშრაანი, საქობო, ტიბაანი, ჯუგაანი, მირზაანი, ქვემო-მაჩხაანი, ზემო-მაჩხაანი, ქოდალო, ბოდბე, ბოდბის-ხევი, მაღარო, ჩალაუბანი და ქოტორი.

სოფ, ჰალადიდში სკოლა ამ ხუთის წლის წინად დაიკეტა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხალხის სიყვარული სწავლისადმი ისე ძლიერია, რომ ნასკოლევ სახლში დღემდის ჰგზავნიან მშობლები ბავშვებს, სადაც იგინი თავიანთის ღონითა და მოხერხებით ერთი ერთმანეთის დახმარებით განაგრძობენ წერა-კითხვის სწავლას უმასწავლებლოდ და უხელმძღვანელოდ.

— სოხუმის საფილოქსერო დასს 20—28 ივლისამდე უმუშავნია 149 დღიური მუშის შემწეობით; ამოუთხრიათ 2000 ვაზი, ერთის წლისა და ორის წლის წიდნის გარდა. მუშაობენ მომეტებულ ნაწილად იქ, სადაც შარშან იყო მოდებული ფილოქსერა, მაგრამ არც ერთგან, არც ერთს ვაზზე არ უპოვნიათ.

ამავე დროს განმავლობაში სოხუმის გარეშემო უძებნია ფილოქსერა საფილოქსერო დასს, მაგრამ არსად არ აღმოუჩენია.

მეოთხე საფილოქსერო დასს ვლადიკავკავში დაუწყვია მუშაობა ივლისის 25, ბლომად ვენახები გაუჩხრეკია და მაინც არსად ფილოქსერა არ აღმოჩენილა.

— «ახალს მიმოხილვას» შეუტყვია, რომ გაზ. „კავკაზის" მიღების მსურველებში სხვათა შორის ურევია რუსეთის ცნობილი ლიტერატორი ევგენი მარკოვი, რომელსაც უკვე შეუტანია ქაღალდი მთავარ-მმართებლის სამწერლოში.

## «დროების» კორესპონდენცია.

**ბორჯომი** ივლისის 23. ბორჯომი წარმოადგენს ერთს საუკეთესო საზაფხულო დროს გასატარებელს ადგილსა: აქ ნახავს კაცი მშვენიერად გაშენებულს ბაღებს, მშვენიერს წყლებს, მარგებელს სხვა-და-სხვა ავადმყოფობისთვის და მშვენიერს აბანოს, მარმარილოს ვანებით გამართულს. ყოველ დღე ორჯერ დილით და საღამოთი იკვრის მუზიკა, კვირაში ორჯერ არის დანიშნული თამაშობა ვანების ახლოსა, ოხშაბათობით და კვირადღეობით. ყოველ დილა-საღამოთი გამოეფინება ხოლმე მოსული საზოგადოება, მშვენიერად მორთული, კმაყოფილი გრილი და მარგებელი ჰაერით და სეირნობს, ბორჯომის ორ კაპ ჯოხებით ხელში.

წელს ბორჯომი ისე სავსეა მოსული ხალხითა, რომ სახლის შოვნა აღარ არის: მთელი სასტუმროები გაქედილია, ასე რომ ბევრი უადგილობის გამო მიემგზავრება აბასტუმანში.

არ შემიძლიან არა ვსთქვა სიმართლე, რომ წელს ძალიან სიმშვიდეა ბორჯომში, ხმა მაღლა ლაპარაკს ვერსად გაიგონებს კაცი, აშფოთობას, ქურდობას და უწესოდ ქცევას ვერავისგან ვერ შეხვდები. ისე დამშვიდებულად ცხოვრებენ აქ მოსულნი, რომ ენა ვერ გამოსთქვამს; კარ-ღია სახლი რომ ღამე გაუშვა უპატრონოდ, კაპეიკისას ვერას მოისაკლისებ.

ყოველსავე ამასთან არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა აქაურ ზოგიერთა ვაჭრებზედ. ეს ვაჭბატონები, გასუქებულნი ოსმანოვის ცხოველებსავით, არაფერთარ ხერხსა და ღონეს არა ზოგავენ, რომ გასუქდენ და გაივსენ ყელამდე მოძმეთა ყვლეფით და მეტადრე გლეხობის შეწუხებით. თავიანთს დუქანს როდი სჯერდებიან ეს გვამნი: ადვოკატობასაც მისდევენ. ვერა საქმეს გლეხი უამათოდ ვერ დაიჭერს. დუქანი კანონების წიგნებითა აქვთ სავსე. ყველა გლეხს მათი ფული ჰმართებთ, თუმცა ერთი კაპეიკი ნაღდად არავისთვის არ უსესხებიათ. სამსჯავროდგან გამოგდებულნი თავიანთ ოინბაზობისათვის, არზების წერას და ამ სახით გლეხობის ფცქვნას მაინც არ იშლიან. აი ეს პირნი ჩაითვლებიან სოფლისა და ხალხის სენად და ნამდვილ ხოლერად, რომელსაც ვერც კარანტინი და ვერც დეზინფექცია ვერას აკლებს.

## ტელეგრამები.

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

აგვისტოს 2-ს

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ დაასკვნა, რომ, ვიდრე კასპიის ზღვაზე გემების სიარული შესწყდებოდეს, მიემატოს ამიერ-კავკასიის რკინის გზას 750 ვაგონი, ნავთის გადასაზიდავად მოწყობილი, რადგან მრავლად რჩება სანავთო ნაშთი და მასალა (ფაბრიკატი), რომელთაც სამზღვარ გარედ ძალიან თხოულობენო.

,,ნოვოე ვრემია'' ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტრო მომრიგებელ კრებათა თავმჯდომარეებისადმი მიწერილის ცირკულიარით, სთხოვს ამ უკანასკნელთ დააჩქარებინონ მომრიგებელ მოსამართლეებს იმ საქმეების განხილვა, რომლებიც სანიტარულის წესების დარღვევას შეეხებიან, რადგან ამ გვარ საქმეების შერჩევა აძნელებს ბარბალის ეპიდემიის წინააღმდეგაო.

**ვენა.** გარეგან საქმეთა მინისტრი, გრაფი კალნოკი ხვალ წავა ვარცინს თ. ბისმარკის სანახავად.

**კაირო.** ნაბრძანებია ბანაკი გამართონ ვადიგალფაში ინგლისის

---

სახელს «საბლის მიწას» ზოგან ქიზიყში არ ხმარობენ და ეძახიან „დასაკუთრებულ მიწებს". ამისი მიზეზი ჩემი გამოკითხვით აი რა არის: თავდაპირველად ყველა ქიზიყის სოფლების გარეშემო, უფრო კალოებამდის (კალოები სოფელთ მოშორებით აქვთ) მიწები კომლეურად-ოჯახის მოთავეთაშორის ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ უეჭველად ისაბლებოდენ (თოკით ჰყოფდენ); ასე განაწილებულ მიწებს მდიდარნი კალოს ხარის საძოვრად ჰყორუღავდენ. ღარიბნი ჰხნავდენ, რადგან ბევრი ხვნა უსაქონლობის გამო შორს სათემოში ხელს არ აძლევდათ. საქართველოს ბოლო ჟამეში, მტრისაგან ბევრი სოფლები ოხრდებოდენ ხოლმე და წიოკდებოდენ; აოხრების შემდეგ უკან დაბრუნებულნი ოჯახობანი უსაბლოდ ახლომახლო ისაკუთრებდენ მიწებს და ამაზედ ერთ-მანეთში დავას არა სტეხდენ. მერე რუსებიც გადმოსულან, აწინდელი წესები შემოსულა ნელ-ნელა და დღევანდლამდე საკუთრებად დარჩომიათ და საკუთარ მიწებს ეძახიან „საბლის მიწების" მაგიერ. ბევრს და ძალიან ბევრს გარემოებას აწინდელის ცხოვრებისას გასაბლევა მიწებისა ყოველ ათსა და თხუთმეტ წელიწადში უწინდებურად ამოუფხვრია*) ქიზიყელთ სოფლელების ხსოვნიდან, თუმცა ხანში შესულებს დღესაც ახსოვთ. დასაკუთრებული მიწების თავ-გადასავალიც აგრეთვე ამ ორმოც და ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში დავიწყებული უმეტესობის მიერ. დათანხმება კი გასაბლაზედ ყველგან შეიძლება ქიზიყში ხალხისა დღესაც, რადგან მიწის დასაკუთრება ჯერ იქაურ კაცის გონებაში არა თავსდება. ამ გაზაფხულზე ს. ჭოტორის კალოებზე ჩავიარე და ერთს ქიზიყელს ორი გძელი სარი ზედ ძვლებ-წამოცმული (ორივე კი გამხმარი ვირის თავები იყო) დინჯად მიჰქონდა მინდვრისკენ. — სად მიგაქ, ქიზიყელო, ე ძვლები? — ვკითხე მე. — ე მანდ კალოს ახლო მიწა მაქვს ყე — მინდა დავყოროღო საკალოეთ — ისე არ აყენებენ — ვირები — საქონელი დაუდის-ყე და ე ნიშნები უნდა დავსხა-ყე.

— კეთილი, ძმავ, მაგრამ, დაურჭე ე ძვლები შენ მიწაში და როცა შენი მეზობლის საქონელი შევა ყორუღში, თუ ეგ ძვლები შენ შეგატყობინებენ — მაძებნე და „ოლოლო" მითხარ, — ვუთხარი მე ხუმრობით.

— ი, ყმაწვილო, განა ესენი შამატყობინებენ, მაგრამ ჩვენში ადათი ასეა და აღარავინ მიეკარება ყორუღს.

მართალსაც ამბობდა ქიზიყელი. იმ ძვალს, ჯოხზე ჩამოცმულს, ყორუღის ნიშნად სცნობენ მთელ ქიზიყში და ამ მამა-პაპეულ ხალხურ ნიშანს თავის მნიშვნელობას არვინ იკადრებს ჩამოაცალოს. ასეთივე წესი აქვთ ქიზიყში ნაფეტვარ და ნასიმინდარის მოუხვნელობაზედ პატრონის დაუკითხავად, თუმცა ყანა დღეს რომ შენ მომკო, მე შემიძლიან ხვალვე მოვხნა ნაყანევი. საეროდ მფლობელობის ძარღვი ქიზიყში დღეს ტყის ხმარებაშიაცა კიდევა სცემს, თუმცა აქ კანონით ყველა გაისაზღვრა. «ლესნიჩი» საფიჩხე ტყეს ყველა სოფელს სამ წლობით აძლევს და აჩღევინებს სოფლის საზოგადოებას «ბილის ფულს». ქიზიყელები ამ მოზომილ საფიჩხეს სამ ნაწილად ჰყოფენ: ერთ ნაწილს ერთ წელიწადს, უფრო შემოდგომით, ჰკაფენ სასოფლოდ, სოფლეულადვე შეჰკრამენ ხოლმე კორმებად და მერე კომლზე თანასწორ ინაწილებენ.

ვისაც მოგიხდეთ ქ. სიღნაღის ნახვა, გადაჰხედეთ იქიდან მშვენიერ ალაზნის ველს და სოფელ მაშნაარის გასწვრივ დაინახავთ ტრიალ მინდორზე ორ მშვენიერ ჭალას: ეს ერთი გახლავთ პატარა «ჭიან-ტყე» და მეორე დიდი «ჭიან-ტყე». პატარა ეკუთნის ს. მაშნაარს და დიდი — ანაგას. მამა-პაპით ამ ორთა სოფლის საზოგადოების ზრუნვით აღზრდილა ეს ტყე, — ეხლა კი „ლესნიჩის" ხელშია. ერთ წელიწადს არ ეყოფოდათ ეს ჭალები ამ ორ სოფლის საზოგადოებას, რომ ჭკვით და წესით არ ეხმარნათ ყველას სათემოდ. უხნავს იმ თავით ვეებერთელა დაცემული სათემო ვაკე მაშნაარელს და ანაგელ გლეხკაცობას ქართული გუთნით, რომელსაც ასე უხვად უნდება სახრე, წნელი, სოლი, ჩეკი, რჩოლი და ათასი სხვა რამ; ალაზან გაღმა უნდა გაიღებს მხნელ-მთესველი თუ შემოაკლდა მაღლიანი გუთნისთვის ეს მცირედი რამე, მოდი ახლა და გადი გაღმა ანეულობას, როცა შავბნელად მოდუღს ალაზანი. ან გადი ამათ გულისათვის «თარეშობის» დროს. ამ გაჭირებას აცილებია ეს საზოგადოებანი გაშენებინათ ტრიალ მინდორზე მოხსენებული ჭალები, საიდანაც გუთანზე გამოჰქონდათ ყველა თავის წილი ხვედრი სახრე, წნელი, ჩეკი და სხვა საჭირო წვრილმანები. ხე-ტყის გამოტანა სასტიკად იყო აკრძალული სათემოდ. ნაკაფი, შეშა — ჩხრიმალი იყო ღარიბებისა. «ლესნიჩების» შემოღების უმალ კი ჩამოერთვათ ეს თავიანთ ნაამაგდარი ჭალები ამ სოფლელთ. დიდი დავი-დარაბა და საჩივრები ჰქონდა ამაზედ დღევანდლამდის ხალხს მთავრობასთან, მაგრამ...

ეხლა ლესნიჩის ხელში, «აბესჩიკების» ოინბაზობით, პირუთვნელად ვიტყვი, ჩანაგდებიან ეს ჭალები. ერთამით რაც ხე-ტყეც გნებავს, გამოიტან აბესჩიკის ნებართვით აქედან. ასეთივე სათემო ტყე, „ვაშლოვნად" სახელ-წოდებული, აუშენებიათ იმ თავით მალაროელებს. ასე ძვალ-რბილში გაჰჯდომია ქიზიყს საეროდ მფლობელობა და იმიტომ ძველად ვახუშტი აქებს და დღესაც მნახველი გაჰკვირდება იმათ სასოფლო საქმის მიდევნისა და საზოგადოობრივ გრძნობათა გამოჩენით.

მაქრო.

*) ამაზე მკითხველთან მეორე წერილში დაწვრილებით მოვილაპარაკებ.

ელჩისათვის; ვადიგალქს გაგზავნილია 700 ცხენის საჭმელი.

**რომი** სენით მოდებულ ალაგებში 11 გახდა გუშინ ავად ხოლერით და 8 მოკვდა მათ რიცხვში; პარმას პროვინციაში ოთხი გამხდარა ავად და ორი მომკვდარა.

**პარიჟი.** კონსტიტუციის გადახედვის პროექტი მიიღო გუშინ კონგრესმა 509 ხმის უმეტესობით 182 წინააღმდეგ.

პატარა სოფელს ომერგში, ქვედა ალპემის დეპარტამენტში ორის დღისა და ღამის განმავლობაში მოკვდა ხოლერისაგან ორმოცი კაცი.

# განცხადებანი

ახლად გაიხსნა თბილისში
მეხანიკური ქარხანა
სახელწოდებით
**„სოფლის მეურნე“**

არსენალის ელმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავისა.

ქარხანა მიიღებს ყოველგვარ სამეხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნების მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ქარხანა მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს ბბ-თ მიწათ-მომქმედთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. ყველა სამუშაო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხოვნილებათა-მებრ გაეგზავნებიან დაუყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. ყველა ნივთსა და იარაღს, რომელიც არ გამოდგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბრუნებს მსყიდველს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანაში არის გასასყიდად ჩვენგან გაკეთებული და გაუმჯობესებული მოწყობილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებულის ნივთებისა და აგრეთვე დარიგება წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ქარხანაში მიიღება აგრეთვე შეკვეთა წყლის წისქვილის გასაკეთებლად. უმორჩილესად ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემკვეთელთ თავიანთი ადრესი გარკვევით დანიშნონ. ქარხნის კანტორა ღიაა მუდამ დღე 8 საათიდამ 2 საათამდე და 5—8-მდე საღამობით, კვირა, უქმე-დღის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს საშენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკეთესო მაღაზიებიდამ იყიდის და გაუგზავნის თავის მუშტარს.

(10—9)

**ინგლისური რკინის კრაოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—35)

**ნაფიცი ვექილი**
სერგეი ვასილის-ძე
# ჩემესოვი

გადავიდა საპიორის ქუჩაზე, ბაბანასოვის სახლებში (5—3)

გამოვიდა და ისყიდება:
**განკიცხული**
მოთხრობა
ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)
ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ზ. რ. ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში. თელავში. ზ. როსტომაშვილთან. ფოთში. ზ. ხუმარაძის მაღაზიაში.

**ცხენის-რკინის-გზის მმართველობისაგან.**

ვისაც ჰსურს დროებით იტვირთოს გამგებლობა თბილისის ცხენის-რკინის-გზით საქონლის გადაზიდ-გამოზიდვისა, მოიწვევიან ტორგით ვაჭრობაზედ აგვისტოს 14, საათის 12-ზედ გზის კანტორაში, მიხეილოვის ქუჩაზედ, სახლი № 163; დაწვრილებით კონდიციების გასინჯვა შეიძლება ყოველ-დღე 10—12 საათამდე. (3—2)

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის სწავლა-განათლების მზრუნველი-საგან ნება-დართული**

საკომერციო კურსები თბილისში
**ორთავე სქესის პირთათვის.**

1884—85 წ. შემდეგს საგნებს ასწავლიან: 1) საკომერციო ეკონომიას, 2) საკომერციო არითმეტიკას და სჩოტზე ანგარიშს, 3) ბუხგალტერიას (მარტივს, ორიანს და საბანკოს), 4) საკომერციო კორესპონდენციას, 5) სავაჭრო და სავექსილო წესდებას, მსურველთ ასწავლიან აგრეთვე 6) ფრანცუზულს ენას, 7) სუფთა-წერას და გაკრულს ხელს.

სწავლა დაიწყება სეკტემბრის 15. მიღება ახლად შემომსვლელთა დაიწყება აგვისტოს ოციდგან ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდე, იქ სადა კურსებია გამართული; სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩის კუთხე, სახლი ალექსანდრე ყორღანოვისა, № 21. დაწვრილებითი ცნობანი, აგრეთვე პროგრამები და დაწერილი წესდებანი შეიძლება მუქთად მიიღონ მსურველთ, სადა კურსებია, ძმათა წოვიანოვების საბანკირო კონტორაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ სთხოვენ მომართავდნენ წერილით კურსების დამფუძნებელს ს. მანუელიანცს, თბილისში. (3—1)

**ვაჭრობა საღებავებით**

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**საღებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა — აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge) — მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვირებლად. (70—34)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—7)

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.
აჭარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$
მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$
მეორისა— — —1 გ. 3 კ.
მესამისა— — —1 გ. $2^1/_2$

ჭვავის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.
მეორისა — — —1 გ. 7 კ.
სუკი . . . —1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.
მეორისა — — —1 გ. — კ.

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 2 Августа 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი